O-SGG-A-LN-2026-2-23/074591575

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
Eastern Regional Office
Agmashenebeli Str. 66
Georgia, Kvareli, 4800
Tel: 16 114
E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

ფ/პ ნარგიზა გამყრელიძე
პ/ნ 10001050288
მის: ქალაქი ბოლნისი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ქუჩა, N 23

№ O-SGG-A-LN-2026-2-23/07

23.02.2026

წერილობითი შეტყობინება
ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარების შესახებ
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის დასრულების თაობაზე

ქალბატონო ნარგიზა,

გეგზავნებათ **N027232** დადგენილება თქვენს მიმართ გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, დადგენილების გასაჩივრების წესი იხილეთ მითითებული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის დირექტორი

მ.სამხარაული

დადგენილება №027232

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის

დადების შესახებ

20.02.2026წ. ქ.ყვარელი

საქმის განხილვის თარიღი საქმის განხილვის ადგილი

1. უფლებამოსილი პირი : შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის იურისტი ვანო ბოჭორიძე.

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

2. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ნარგიზა გამყრელიძე პირადი N10001050288; ქალაქი ბოლნისი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ქუჩა, N 23 აბონენტის N3103178813.

(იურიდიული/ფიზიკური პირი, მისამართი, ტელეფონი, აბონენტის ნომერი, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი და სხვა რელევანტური მონაცემები)

3. საქმის განხილვისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"- ის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ამავე საზოგადოების აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის **ბოლნისის** სერვისცენტრის საექსპლუატაციო სამსახურის უფროსის **ზურაბ მარტიაშვილის** მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის **N027232** ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე. ოქმის შემდგენის განმარტებით; **ქალაქი ბოლნისი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ქუჩა, N 23-ში** მრიცხველის შემოწმებისას, რომლიც აღრიცხავს **ნარგიზა გამყრელიძის** მიერ მოხმარებულ ბუნებრივ გაზს. **აღმოჩნდა, რომ მრიცხველის გვერდის ავლით ახდენდა ბუნებრივი აირის მიტაცებას კერძოდ, ცენტრალურ 2305.8 მ/3 ბუნებრივი აირი.** ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს ეცნობა, საქმის განხილვის დრო და ადგილი. პირი **ნარგიზა გამყრელიძე** არ გამოცხადდა ზეპირ განხილვაზე და რაიმე მიზეზის შესახებ არ უცნობებია. **თუმცა სამართალდარღვევის ოქმზე ხელის მოწერთ დაადასტურა მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ასევე აქტი-შეთანხმებაზე ხელმოწერით დაადასტურა/აღიარა ვალის არსებობა და პასუხისმგებლობა აიღო მის გადახდაზე.** შესაბამისად საქმის განხილვის გადადების საფუძველი არ არსებობს რისი გათვალისწინებითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე,

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრების გარეშე და მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე - 10 მუხლის თანახმად: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

ამავე კოდექსის **96[1]** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსლიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით – გამოიწვევს გაფრთხილებას“: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236 - ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა - განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

აღნიშნული კი თავის მხრივ ქმნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული სამართალდარღვევის ფაქტს, კერძოდ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების, შემადგენლობას. ამასთან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის №12 დადგენილების მე-9 მუხლით: ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, შეწყვეტილი ბუნებრივი გაზის მიწოდების თვითნებური აღდგენა, ბუნებრივი გაზის

მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა).

ასსკ 36-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სახდელის დადება რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახლდელთაგანი, რომელებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

საქართველოს ასკ კოდექსის 264 - ე მუხლის მიხედვით „ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის“. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგენილად მიმაჩნია, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ეს უკანასკნელი ბრალეულია მის ჩადენაში, ამასთან არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების

შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბანკში **ნარგიზა გამყრელიძე** არ ირიცხება.

4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის მე-8; მე-10; 30 - ე მუხლებისა და 96[1] მუხლის პირველი ნაწილით, 200-ე, 228[2]-ე, 236-237-ე, 260-ე და 266-268-ე მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

ვ ა დ გ ე ნ:

5. **ნარგიზა გამყრელიძე პ/N10001050288** დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

6. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

.....

8. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის.: ქ. თბილისი, 0194, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: ვ. ბოჭორიძე